დანართი No. 3

NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ფარგლებში განხორციელებული და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

შედარებითი და საერთაშორისო განათლების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
2026 წლის 20 მაისი

დასკვნის წარდგენის თარიღი
2026 წლის 17ივლისი

თბილისი
2026

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი 11

IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 14

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 14

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 26

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 38

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 42

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 55

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ [1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204426834
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პეტროს პაშიარდისი, კვიპროსის ღია უნივერსიტეტი, კვიპროსი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	დიანა მჭედლიშვილი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	რევაზ ტაბატაძე, შპს საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამთა ლეკიშვილი, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ანა მიხელიძე, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	შედარებითი და საერთაშორისო განათლება
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Comparative and International Education
უმაღლესი განათლების საფეხური / პროგრამა	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	განათლების მეცნიერების მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	განათლების მეცნიერება, 0111
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[3]	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების / პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	

[2]უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ - ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[3]მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

თვითშეფასების ანგარიშში და სხვადასხვა დოკუმენტაციაში წარმოდგენილი ინფორმაციის და ვიზიტის ფარგლებში დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე გამოვლინდა, რომ შედარებითი და საერთაშორისო განათლების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავდა როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო პარტნიორების აქტიური ჩართულობით. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, გარე შეფასებაში მონაწილეობდა ორი დარგის ექსპერტი: ჰონგ - კონგის განათლების უნივერსიტეტის პროფესორი, რომელიც გახლავთ გლობალური უმაღლესი განათლების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი და ჰონგ - კონგის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, რომელიც ასევე ხელმძღვანელობს შედარებითი და გლობალური კვლევების სამაგისტრო პროგრამას განათლებასა და განვითარებაში. ჰონგ - კონგის უნივერსიტეტების სპეციალისტები შეირჩენ საერთაშორისო განათლების სფეროში საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და კვლევის გამოცდილების საფუძველზე. ორივე პროფესორმა ხაზი გაუსვა პროგრამის მულტიდისციპლინურ მიდგომას და შესაძლებლობას აღჭურვოს სტუდენტები განათლებაში არსებული გლობალური გამოწვევების სიღრმისეული გააზრების და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის საჭირო კომპეტენციებით. გარდა ამისა, მათ აღნიშნეს, რომ პროგრამას გააჩნია ყველა წინაპირობა, იმისათვის, რომ საერთაშორისო პერსპექტივების ინტეგრირებით წარმატებით დააკავშიროს თეორიული ცოდნა პრაქტიკულ გამოცდილებასთან. ასევე, მათ მნიშვნელოვნად მიიჩნიეს პროგრამაში თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის კურსების, გენდერის, ადამიანის უფლებების და მდგრადი განვითარების საკითხებზე ორიენტირებული არჩევითი კურსების გათვალისწინება.

საბოლოო ჯამში, პროგრამა მოდიფიცირებულ იქნა ქართული საზოგადოების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, შედარებითი და საერთაშორისო განათლების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს სიახლეს საქართველოს უმაღლესი განათლების სივრცეში და აღნიშნულ სფეროში პირველი ასეთი საგანმანათლებლო პროგრამაა ქვეყანაში. პროგრამის მიზანია ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც სწრაფად ცვალებად გლობალურ გარემოში შეძლებენ თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემების ანალიზს და სხვადასხვა ქვეყნის საგანმანათლებლო პრაქტიკების კრიტიკულ შეფასებას. გარდა ამისა, აღინიშნა, რომ თანამედროვე ეპოქაში, რომელშიც მსოფლიოს საგანმანათლებლო სისტემები ინტერნაციონალიზაციის შედეგად განიცდიან სწრაფ ტრანსფორმაციას და დგანან გამოწვევების წინაშე, ხარისხის და ხელმისაწვდომობის მზარდ მოთხოვნებთან ერთად, შედარებითი და საერთაშორისო განათლების სამაგისტრო პროგრამა სტუდენტებს უზრუნველყოფს გლობალური ორიენტაციით, ძლიერი კვლევითი უნარებით და კავშირებით პოლიტიკის ანალიზსა და პრაქტიკას შორის.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფის წინამდებარე დასკვნა შემუშავებულია პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული და დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაციის შესწავლის და ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუების შედეგების გათვალისწინებით. ვიზიტი 2026 წლის 20 მაისს განხორციელდა. ექსპერტთა ჯგუფის წევრები ადგილზე იყვნენ წარმოდგენილი, ხოლო თავმჯდომარე, პროფესორი პაშიარდისი პროცესში დისტანციურად მონაწილეობდა.

ვიზიტის განმავლობაში ექსპერტთა ჯგუფი დაახლოებით 50 პირს შევხვდა, როგორც პირისპირ, ისე ონლაინ რეჟიმში. მათ შორის იყვნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები (პრორექტორი, კანცლერი, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი). გარდა ამისა, ჩატარდა ინტერვიუები თვითშეფასების ჯგუფთან, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, მოქმედ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან (ვინაიდან შედარებითი და საერთაშორისო განათლების სამაგისტრო პროგრამა ახალია, შეხვედრებს ესწრებოდნენ სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები). ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაათვალიერა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, კერძოდ, ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები და სხვა სივრცეები.
დღის ბოლოს ექსპერტები შეხვდნენ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას და მოკლედ მიმოიხილეს ძირითადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საერთო ჯამში, პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტის ხედვის შესაბამისად, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში. აღნიშნული პროგრამის მეშვეობით მისია რეალისტურად იქნება განხორციელებული. პროგრამის შემუშავებაში და განხორციელებაში ჩართული პერსონალი მოტივირებულია და ენთუზიაზმით აღსავსე. გარდა ამისა, სამართლის პროგრამების სტუდენტები და კურსდამთავრებულები დადებითად აფასებენ უნივერსიტეტს და მის მიერ გაწეულ სერვისებს, ხოლო დამსაქმებლები კმაყოფილნი არიან საბოლოო შედეგით, ვინაიდან ისინი აქტიურად მონაწილეობენ ახალი პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში. მთლიანობაში, აღნიშნული პროგრამა პერსპექტიულია და საქართველოს უმაღლესი განათლების სივრცეში ინოვაციას წარმოადგენს. უნივერსიტეტი თანამშრომლობს ჰონგ-კონგის უნივერსიტეტებთან, თუმცა ინტერნაციონალიზაციის კუთხით საჭიროა დამატებითი ძალისხმევა იმისათვის, რომ სრულყოფილად იქნეს მოცული საერთაშორისო მიმართულება როგორც კვლევის, ისე მაღალი იმპაქთ ფაქტორის მქონე რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებების თვალსაზრისით.

ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები მიმართულია ახალი პროგრამის ხარისხის გაძლიერებისკენ, ემსახურება შემდგომ გაუმჯობესებას და მიზნად ისახავს სრულფასოვან საერთაშორისო პროგრამად ჩამოყალიბების ხელშეწყობას. შესაბამისად, უნივერსიტეტმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები უნდა აღიქვას როგორც მიმართულებები, რომელთა მიზანია აკადემიური ხარისხის ამაღლება და უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის ძალისხმევის გაძლიერება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და ვიზიტის განმავლობაში დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული ინტერვიუების ფარგლებში მიღებული უკუკავშირის და მტკიცებულებების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სტანდარტი: საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა მეტწილად შესაბამისობაშია, სადაც დანარჩენი ოთხი, კერძოდ - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა; სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა და სწავლების ხარისხის განვითრების შესაძლებლობები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, რაც ასახულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში ამასთანავე, ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავა რეკომენდაციები და რჩევები. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი გასცემს შემდეგ რეკომენდაციებს და რჩევებს.

- **რეკომენდაციები**

1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- რეკომენდებულია, დაიხვეწოს შედარებითი და საერთაშორისო განათლების სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმა, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მჭიდრო შესაბამისობა პროგრამის დარგობრივ სპეციფიკასთან, მიზნებთან და სწავლის შედეგებთან. კერძოდ, რეკომენდებულია, სასწავლო კურსი „ინოვაციები და ტექნოლოგიები განათლებაში" ჩანაცვლდეს სასწავლო კურსით „საგანმანათლებლო სისტემები და რეფორმები შედარებით პერსპექტივაში", ასევე პროგრამის სავალდებულო საგნების ბლოკს უნდა დაემატოს სასწავლო კურსი „საერთაშორისო ორგანიზაციები და განათლების მართვა".

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- რეკომენდებულია, „საგანმანათლებლო პოლიტიკის" და „განათლების ხარისხის მართვის" სასწავლო კურსებს დაემატოს ზოგადი განათლების პოლიტიკის და ხარისხის მართვის საკითხები, იმისათვის, რომ დაბალანსებულად იქნეს წარმოდგენილი ზოგადი და უმაღლესი განათლების მიმართულებები.

2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს შესაბამისი კვლაიფიკაციის მქონე სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების სათანადო რაოდენობა, რომლებსაც ექნებათ

დარგში დოქტორის ხარისხი, შესაბამისი კვლევითი და ნაშრომების ხელმძღვანელობის გამოცდილება სტუდენტების დაგეგმილი რაოდენობის და ერთი ხელმძღვანელისათვის განსაზღვრული სტუდენტების შიდა ლიმიტის შესაბამისად.

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა მკაფიოდ განსაზღვროს და გამოიყენოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების დანიშვნის გამჭვირვალე კრიტერიუმები. ასევე, ხელმძღვანელებისთვის დაადგინოს დოქტორის ხარისხის მოთხოვნის გამონაკლისები, იმისათვის, რომ სათანადოდ დაასაბუთოს თითოეული შემთხვევა და უზრუნველყოს ხელმძღვანელის კვალიფიკაციის, კვლევითი და დარგობრივი გამოცდილების შესაბამისობა სამაგისტრო ნაშრომის თემატიკასთან და მიმართულებასთან.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სამაგისტრო ნაშრომების პოტენციური ხელმძღვანელებისთვის უზრუნველყოს მიზნობრივი ტრენინგი და მეთოდოლოგიური მხარდაჭერა, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც არ აქვს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის გამოცდილება, იმისათვის, რომ უზრუნველყოს კვლევითი კომპონენტის ეფექტური განხორციელება.
- რეკომენდებულია, პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები / მემორანდუმები და / ან მათი დანართები მკაფიოდ ასახავდეს მისაღები სტუდენტების რაოდენობას, პრაქტიკის კომპონენტის მიზნებს, მოსალოდნელ შედეგებს და ხანგრძლივობას, ასევე წარმოაჩენდეს, თუ როგორ უწყობს ხელს პრაქტიკის კომპონენტი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გაზარდოს განათლებაში ან მომიჯნავე დარგებში დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალის წილი.

- **რჩევები**

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- სასურველია, სწავლის შედეგების მონიტორინგის და შეფასების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტმა სწავლის შედეგები ჩამოაყალიბოს ბლუმის ტაქსონომიის შესაბამისი დონეების გაზომვადი ზმნების გამოყენებით. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სიცხადეს, შეფასებადობას და ეფექტურ მონიტორინგს.

4.2 მაგისტრანტის ხელმძღვანელების კვალიფიკაცია

- სასურველია, გაძლიერდეს ძალისხმევა განათლების მეცნიერებების ფართო სფეროში შესაბამისი ქვედარგების მაღალი რეიტინგის მქონე საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების რაოდენობისა და ხარისხის გაზრდის მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს აკადემიური პერსონალის

შესაძლებლობების გაძლიერებას სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის კუთხით.

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- სასურველია, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს აკადემიური პერსონალის საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობას, აღმოუჩინოს მათ მხარდაჭერა განათლების მეცნიერებების ფართო სფეროში შემავალ ქვედარგებში Q1 ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების მიმართულებით და გაუწიოს მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა.

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

- სასურველია, უნივერსიტეტმა დეტალურად განსაზღვროს და დააკონკრეტოს პროგრამის ბიუჯეტი, მკაფიოდ მიუთითოს პრაქტიკის კომპონენტისთვის, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობისათვის, სტუდენტების კვლევითი საქმიანობისათვის და პროგრამის ინტერნაციონალიზაციის აქტივობებისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსები.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[4]**

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

- საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, მაგალითად:

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური,	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის დარგობრივი გამოცდილების**	**მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**

[4] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)		**მქონე პერსონალი[5]**	**ხარისხის მქონე პერსონალი[6]**	
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	11	7	4	8
პროფესორი	1	1	1	1
ასოცირებული პროფესორი	7	3	3	4
ასისტენტ–პროფესორი	0	0	0	0
ასისტენტი	3	3	0	3
მოწვეული პერსონალი	12	7	4	0
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	0
საერთაშორისო პერსონალი	0	0	0	0

პროგრამაში მაგისტრანტების ხელმძღვანელებად გათვალისწინებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

შედარებითი და საერთაშორისო განათლების სამაგისტრო პროგრამა			
სამაგისტრო / სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	**ნაშრომის ხელმძღვანელები**	**მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სამაგისტრო / სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	7		3
პროფესორი	1		1
ასოცირებული პროფესორი	1		1
ასისტენტი	1	განათლების მიმართულების დოქტორანტი	1
მოწვეული პერსონალი	4	1 (+2 განათლების მიმართულების დოქტორანტი)	

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შეფასება
1.	**1.1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**	**მეტწილად შესაბამისობაშია**
1.1	პროგრამის მიზნები	**შესაბამისობაშია**
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	**შესაბამისობაშია**
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	**შესაბამისობაშია**
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	**მეტწილად შესაბამისობაშია**
1.5	სასწავლო კურსი / საგანი	**მეტწილად შესაბამისობაშია**
2.	**სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**	**შესაბამისობაშია**
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	**შესაბამისობაშია**
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	**მეტწილად შესაბამისობაშია**
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	**შესაბამისობაშია**
2.4	სტუდენტების შეფასება	**შესაბამისობაშია**
3.	**სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**	**შესაბამისობაშია**
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	**შესაბამისობაშია**
3.2	მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	**შესაბამისობაშია**
4	**სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**	**შესაბამისობაშია**
4.1	ადამიანური რესურსი	**მეტწილად შესაბამისობაშია**
4.2	მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	**შესაბამისობაშია**
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	**შესაბამისობაშია**
4.4	მატერიალური რესურსი	**შესაბამისობაშია**
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	**შესაბამისობაშია**
5	**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**	**შესაბამისობაშია**
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	**შესაბამისობაშია**
5.2	გარე ხარისხის შეფასება	**შესაბამისობაშია**

5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	**შესაბამისობაშია**

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო

რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე

შეფასების კრიტერიუმები

განმარტებები:
რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ- ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის მისიის, ფაკულტეტის დებულების და სტრატეგიული განვითარების გეგმის თანახმად, პროგრამა შემუშავებულია მკვლევრების, ლიდერების და პრაქტიკოსების მოსამზადებლად. პროგრამის მიზანია:

1. შესძინოს კურსდამთვარებულს სიღრმისეული თეორიულ - კონცეპტუალური ცოდნა შედარებითი და საერთაშორისო განათლების სფეროში, ისტორიული განვითარების ტენდენციების, საკვანძო თეორიებისა და მეთოდოლოგიების, ასევე, თანამედროვე საგანმანათლებლო დებატების გააზრებით ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ დონეზე;
2. განუვითაროს საგანმანათლებლო სისტემების, პოლიტიკებისა და პრაქტიკების კრიტიკული ანალიზის უნარი მათ ისტორიულ, სოციალურ - პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ კონტექსტში;
3. განუვითაროს თანამედროვე კვლევითი კომპეტენციები თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის დაგეგმვის, განხორციელებისა და მონაცემთა ანალიზის მიმართულებით, აკადემიური წერისა და ეთიკური სტანდარტების დაცვით;
4. ჩამოუყალიბოს შედარებითი და საერთაშორისო განათლების სფეროში არსებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, პროფესიული კომუნიკაციის, ეთიკური პასუხისმგებლობისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების უნარი აკადემიურ და პროფესიულ გარემოში.

გარდა ამისა, თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, პროგრამა პასუხობს როგორც ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ისე გლობალურ დონეზე განათლების სფეროში არსებულ საერთაშორისო ტენდენციებს. შესაბამისად, პროგრამა ამზადებს კურსდამთავრებულებს სხვადასხვა პროფესიული პოზიციებისთვის საქართველოს საგანმანათლებლო სექტორში

(როგორც საჯარო, ისე კერძო), საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, ასევე კვლევითი საქმიანობისთვის შედარებით და საერთაშორისო განათლებაში.

აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად, პროგრამა აერთიანებს თეორიულ და პრაქტიკულ სასწავლო კურსებს. აღინიშნება, რომ კურსდამთავრებულები მომზადებული იქნებიან საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში მენეჯერულ და ლიდერულ პოზიციებზე დასაქმებისათვის, აგრეთვე შედარებით და საერთაშორისო განათლებაში კვლევითი საქმიანობისათვის ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე გლობალური განათლების სფეროში მოქმედი კვლევითი დაწესებულებების მხარდასაჭერად.

გარდა ამისა, თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, პროგრამის მიზნების მისაღწევად, სტუდენტებისთვის და პერსონალისათვის დაგეგმილია შემდეგი აქტივობები:

- სტუდენტების აკადემიური მობილობა პარტნიორ უნივერსიტეტებში;
- პერსონალის მობილობა სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტსა და პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის.
- ღონისძიებების ორგანიზება: აკადემიური პერსონალის მონაწილეობით რეგულარულად იმართება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტში და პარტნიორ დაწესებულებებში. საკონფერენციო მასალებში ქვეყნდება სტატიები.

ინფორმაცია პროგრამის მიზნების, ამოცანების და მიღების კრიტერიუმების შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ - გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შედარებითი და საერთაშორისო განათლების სამაგისტრო პროგრამა;
- სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტის 2023 - 2029 წლების სტრატეგია;
- ვებ - გვერდი: www.sabauni.edu.ge
- ინტერვიუების შედეგები.

[რეკომენდაციები](#).

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები:

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფის წევრებისთვის წარდგენილი ინფორმაციის, მონაცემების და დამატებითი დოკუმენტაციის საფუძველზე დადასტურდა, რომ შედარებითი და საერთაშორისო განათლების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერებს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. სწავლის შედეგები მკაფიოდ არის ფორმულირებული. გარდა ამისა, თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, ისინი გაზომვადია, მიღწევადია და რეალისტურია. ასევე, ისინი მკაფიოდ განსაზღვრავენ საჭირო დარგობრივ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას.

გარდა ამისა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფდა პროგრამის სამუშაო ჯგუფის მხარდაჭერას სწავლის შედეგების განსაზღვრის და ფორმულირების პროცესში. დაინტერესებული მხარეები აქტიურად მონაწილეობდნენ შედარებითი და საერთაშორისო განათლების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში, მათ შორის: აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მომავალი სტუდენტები, განათლების მეცნიერებების კვალიფიკაციის მქონე მსგავსი პროგრამების კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. შედეგად, პროგრამის სწავლის შედეგები ასახავს როგორც დარგის სპეციფიკას, ისე შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

ასევე, აღინიშნა, რომ სწავლის შედეგები პასუხობს სხვადასხვა გარემოში კურსდამთავრებულების დასაქმების სფეროების საჭიროებებს, როგორიცაა: განათლებაზე ორიენტირებული საერთაშორისო ორგანიზაციები (იუნესკო, იუნისეფი, მსოფლიო ბანკი და სხვადასხვა

არასამთავრობო ორგანიზაცია); უნივერსიტეტები, სკოლები და კვლევითი ცენტრები; საგანმანათლებლო საკონსულტაციო და განათლების მონიტორინგზე და შეფასებაზე ორიენტირებული ორგანიზაციები. გარდა ამისა, პროგრამის ფარგლებში განვითარებული კვლევითი კომპეტენციები კურსდამთავრებულებს საშუალებას აძლევს, განაგრძონ სწავლა სადოქტორო საფეხურზე, როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო უნივერსიტეტებში.

პროგრამის წარმატებით დასრულებისათვის განსაზღვრულია რვა სწავლის შედეგი:

<u>ცოდნა და გაცნობიერება</u>

კურსდამთავრებული:

ა) ფლობს საერთაშორისო და შედარებითი განათლების საკვანძო თეორიების, ცნებების, მეთოდოლოგიური მიდგომებისა და თანამედროვე დებატების ღრმა და სისტემურ ცოდნას და სიღრმისეულად აანალიზებს საგანმანათლებლო სისტემებს, პოლიტიკებსა და პრაქტიკებს სხვადასხვა ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ კონტექსტში;

ბ) სიღრმისეულად იცნობს საგანმანათლებლო ტრადიციებს, ფილოსოფიებსა და სწავლა - სწავლების თეორიებს და აანალიზებს მათ როლს თანამედროვე საგანმანათლებლო პრაქტიკებისა და გამოწვევების კონტექსტში;

გ) ავლენს კვლევითი პარადიგმების, თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების, აკადემიური წერის წესებისა და ეთიკური სტანდარტების ფუნდამენტურ ცოდნას.

<u>უნარები</u>

კურსდამთავრებული:

დ) კრიტიკულად აანალიზებს და ადარებს საგანმანათლებლო პოლიტიკებს, სისტემებს, ინოვაციებსა და პრაქტიკებს შედარებითი, ინტერკულტურული და ინტერდისციპლინური მიდგომებისა და რელევანტური ანალიტიკური ჩარჩოების გამოყენებით;

ე) დამოუკიდებლად ახორციელებს თვისებრივ და რაოდენობრივ კვლევას შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით;

ვ) გადასცემს აკადემიურ, პროფესიულ და ფართო საზოგადოებას კომპლექსურ იდეებს, კვლევის შედეგებსა და საგანმანათლებლო პოლიტიკასთან დაკავშირებულ არგუმენტებს ვერბალური ან წერითი გზით, რელევანტური აკადემიური და ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებით და აკადემიური ეთიკის ნორმების დაცვით.

<u>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</u>

კურსდამთავრებული:

ზ) ავლენს პროფესიულ, ეთიკურ და სოციალურ პასუხისმგებლობას კვლევაში, პოლიტიკის ანალიზსა და საგანმანათლებლო პრაქტიკაში თანასწორობის, კულტურული მრავალფეროვნების, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და კვლევის ეთიკის პრინციპების დაცვით;

თ) წარმართავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას მიღებული აკადემიური და პრაქტიკული გამოცდილების შეფასების პრინციპების საფუძველზე.

შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები ასახავს შედარებითი და საერთაშორისო განათლების სფეროს სპეციფიკას და თანხვედრაშია როგორც პროგრამის შინაარსთან, ისე მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. ისინი ჩამოყალიბებულია მკაფიოდ და რეალისტურად, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში სასურველია მათი ფორმულირების გადასინჯვა, გაზომვადობის და შეფასების გასამარტივებლად. კერძოდ, სწავლის შედეგების მონიტორინგის და შეფასების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტმა სწავლის შედეგები უნდა ჩამოაყალიბოს ბლუმის ტაქსონომიის შესაბამისი დონეების გაზომვადი ზმნების გამოყენებით. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სიცხადეს, შეფასებადობას და ეფექტურ მონიტორინგს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შედარებითი და საერთაშორისო განათლების სამაგისტრო პროგრამა;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის სილაბუსები;
- პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენების პროცედურები
- (სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და პერსონალის გამოკითხვის ფორმები);
- ვებ - გვერდი; www.sabauni.edu.ge
- ინტერვიუების შედეგები.

[რეკომენდაციები](#).

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, სწავლის შედეგების მონიტორინგის და შეფასების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტმა სწავლის შედეგები ჩამოაყალიბოს ბლუმის ტაქსონომიის შესაბამისი დონეების გაზომვადი ზმნების გამოყენებით. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სიცხადეს, შეფასებადობას და ეფექტურ მონიტორინგს.

შეფასება

კომპონენტი	შეფასება
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს დოკუმენტი სახელწოდებით „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენების წესი", რომელიც განსაზღვრავს პროგრამის შეფასების პროცესს. პროცესი ხორციელდება ორი მიმართულებით: სამიზნე ნიშნულების მიღწევის ანალიზის და სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების შემდეგ უნივერსიტეტი ადგენს „პროგრამის სავალდებულო კურსების და პროგრამის სწავლის შედეგების რუკას". აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს ცალკეული სასწავლო კურსების წვლილს კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევაში. ის ასევე ასახავს თითოეული კურსის სტატუსს და მის კავშირს პროგრამის სწავლის შედეგებთან.

„ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, შეფასების შედეგების და მათი გამოყენების წესის" თანახმად, სწავლის შედეგები ფასდება თითოეული აკადემიური წლის ბოლოს. ხორციელდება მიღებული მონაცემების შედარება წინა წლის მონაცემებთან, რის საფუძველზეც უნივერსიტეტი ამზადებს ანგარიშს სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ. ანგარიში მოიცავს:

1. საანგარიშო პერიოდის სამოქმედო გეგმას და მისი განხორციელების მაჩვენებლებს;
2. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ჩატარებული ხარისხის შეფასების შედეგებთან დაკავშირებულ დასკვნებს;
3. სამიზნე ნიშნულებიდან გადახრის გამომწვევ მიზეზებს, რომლებიც გამოვლენილია პერსონალთან და სტუდენტებთან ფოკუს ჯგუფების და ჩაღრმავებული ინტერვიუების საფუძველზე.

სწავლის შედეგების შეფასება დამატებით მოწმდება პირდაპირი შეფასების მეთოდით, რომელიც ეფუძნება სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზს და იზომება ECTS კრედიტების

სარეიტინგო ქულებით. აკადემიური მოსწრების შედეგების ეფექტურობის სამიზნე ნიშნულს წარმოადგენს ECTS კრედიტების სარეიტინგო შკალა. აკადემიური მოსწრების ანალიზის ფარგლებში გამოვლენილი გადახრების შემთხვევაში გამოიყენება სხვადასხვა რეაგირების მექანიზმი:

1. სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების მოდიფიცირება;
2. შესაბამის კურსებში გამოყენებული სწავლება - სწავლის მეთოდების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში მათი ცვლილება.

სწავლის შედეგების არაპირდაპირი შეფასება მოიცავს დაინტერესებული მხარეების გამოკითხვას და მიღებული შედეგების ანალიზს. პროგრამის სპეციფიკური მახასიათებლების გათვალისწინებით, ტარდება სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური პერსონალის და დამსაქმებლების გამოკითხვები წინასწარ შემუშავებული სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს დაინტერესებული მხარეების სემესტრულ და წლიურ გამოკითხვებს. კითხვარები ანონიმურია და მოიცავს საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია პროგრამის სტრუქტურასთან და მის კომპონენტებთან, რაც უზრუნველყოფს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ხედვების შეგროვებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუები;
- შედარებითი და საერთაშორისო განათლების სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენების გზები.

[რეკომენდაციები](#).

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია

1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტის შედარებითი და საერთაშორისო განათლების სამაგისტრო პროგრამა სტრუქტურირებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციების და ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის (ECTS) შესაბამისად. პროგრამის შინაარსი და სირთულე შეესაბამება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის დებულება აკმაყოფილებს შესაბამის სამართლებრივ მოთხოვნებს. პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს (3 000 ასტრონომიული საათი). ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები შეადგენს 102 ECTS კრედიტს, მათ შორის 12 კრედიტი განსაზღვრულია პრაქტიკული კომპონენტისთვის, ხოლო 30 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომისთვის. ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსები შეადგენს 18 ECTS კრედიტს, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, აირჩიონ კურსები როგორც შედარებითი და საერთაშორისო განათლების სამაგისტრო პროგრამიდან, ისე უნივერსიტეტის სხვა სამაგისტრო პროგრამებში წარმოდგენილი არჩევითი კურსებიდან.

პროგრამის მოცულობის მიხედვით, ერთი აკადემიური წელი შედგება ორი სემესტრისგან (შემოდგომა და გაზაფხული) და მოიცავს 32 კვირას. ზოგადად, თითოეული სემესტრი მოიცავს 16 კვირას, მათ შორისაა 13 სასწავლო კვირა, ორი საბოლოო გამოცდის კვირა და ერთი დამატებითი გამოცდის კვირა. სტუდენტის სტანდარტული დატვირთვა შეადგენს 30 ECTS კრედიტს სემესტრში და 60 ECTS კრედიტს სასწავლო წლის განმავლობაში. თუმცა, პროგრამის სპეციფიკური მახასიათებლების და სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვის შესაბამისად, წლიური საკრედიტო დატვირთვა შეიძლება იყოს 60 ECTS კრედიტზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს 75 ECTS კრედიტს.

პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული კურსები შეესაბამება განათლების საფეხურს. სასწავლო გეგმა მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტებს, რომლებიც ეფექტურად უზრუნველყოფენ პროგრამის მიზნების მიღწევას. პროგრამის პრაქტიკაზე ორიენტირებული კომპონენტები უზრუნველყოფენ თეორიული ცოდნის კონტექსტუალიზაციას და მის გამოყენებას პრაქტიკული, დაწესებულებაზე დაფუძნებული პრობლემების გადასაჭრელად.

სტუდენტები სამაგისტრო ნაშრომის წარმატებული შესრულებისათვის და დაცვისათვის საჭირო კვლევით კომპეტენციებს იძენენ თვისებრივი კვლევის მეთოდების, რაოდენობრივი კვლევის მეთოდების, მონაცემთა ანალიზის SPSS - ის და აკადემიური წერის სასწავლო კურსების მეშვეობით, რაც ქმნის აკადემიური განვითარების ლოგიკურ და თანმიმდევრულ სტრუქტურას.

წარმოდგენილი სასწავლო გეგმის თანახმად, არჩევითი კურსები შეთავაზებულია პირველ და მეორე სემესტრებში. სასწავლო გეგმის დეტალური ანალიზი მიუთითებს, რომ არჩევითი ბლოკის თითოეულ კურსს მინიჭებული აქვს 3 ან 6 ECTS კრედიტი.

შედარებითი და საერთაშორისო განათლების სამაგისტრო პროგრამის მიზნების და შინაარსის გათვალისწინებით, რეკომენდებულია უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო გეგმის მჭიდრო შესაბამისობა დარგობრივ მახასიათებლებთან. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია სასწავლო კურსი „ინოვაციები და ტექნოლოგიები განათლებაში" ჩანაცვლდეს სასწავლო კურსით „საგანმანათლებლო სისტემები და რეფორმები შედარებით პერსპექტივაში" და დაემატოს „საერთაშორისო ორგანიზაციების და განათლების მართვის" კურსი.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ კურსში „ინოვაციები და ტექნოლოგიები განათლებაში" განხილულია მნიშვნელოვანი თემები, თუმცა ის პირდაპირ არ წარმოადგენს შედარებითი და საერთაშორისო განათლების დარგის ძირეულ კომპონენტს. ეს კურსი ჩვეულებრივ გათვალისწინებულია სხვადასხვა საგანმანათლებლო დისციპლინის პროგრამებში და მისი შინაარსი არ უკავშირდება საგანმანათლებლო სისტემების შედარებით ანალიზს ან საერთაშორისო საგანმანათლებლო პროცესებს. შესაბამისად, აღნიშნული კურსის წვლილი პროგრამის პირველი და მეორე მიზნის მიღწევაში შედარებით შეზღუდულია.

რაც შეეხება კურსს „საგანმანათლებლო სისტემები და რეფორმები შედარებით პერსპექტივაში" პირდაპირ ასახავს პროგრამის არსს, სახელწოდებას და მიზნებს. პროგრამის პირველი მიზანი ხაზს უსვამს შედარებითი და საერთაშორისო განათლების დარგში მოწინავე თეორიული და კონცეპტუალური ცოდნის შეძენას, ხოლო მეორე მიზანი ფოკუსირებულია სტუდენტებში სხვადასხვა საგანმანათლებლო სისტემების, პოლიტიკის და პრაქტიკის კრიტიკული ანალიზის უნარის განვითარებაზე. აღნიშნულმა კურსმა სტუდენტებს უნდა შეასწავლოს სხვადასხვა ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემები, მართვის მოდელები, დაფინანსების მექანიზმები, რეფორმების გამოცდილება, მათი შედეგები და გამოწვევები, საგანმანათლებლო სისტემების ცენტრალიზაციის და დეცენტრალიზაციის საკითხები, განათლების ხელმისაწვდომობის და თანასწორობის პრობლემები, საერთაშორისო მასშტაბური შეფასების კვლევები (PISA, TIMSS და PIRLS), ასევე საგანმანათლებლო პოლიტიკის გადაცემა და საუკეთესო პრაქტიკის გამოყენება სხვადასხვა ეროვნულ კონტექსტში. კურსი „ინოვაციები და ტექნოლოგიები განათლებაში" შესაძლებელია გადატანილ იქნეს არჩევითი კურსების ბლოკში.

ასეთი კურსის დამატება მნიშვნელოვნად გააძლიერებს შედარებითი და საერთაშორისო განათლების სფეროში პროგრამის სპეციალიზებულ იდენტობას და მკაფიოდ გამოარჩევს მას განათლების სფეროში არსებულ სხვა სამაგისტრო პროგრამებისგან.

გარდა ამისა, თანამედროვე საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში იზრდება ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების როლი, როგორიცაა იუნესკო, OECD, მსოფლიო ბანკი, იუნისეფი, ევროპის საბჭო და ევროკავშირი. აღნიშნული ორგანიზაციები აყალიბებენ გლობალური საგანმანათლებლო დღის წესრიგის მნიშვნელოვან ნაწილს, ადგენენ საერთაშორისო სტანდარტებს, ახორციელებენ მონიტორინგს და მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ეროვნული საგანმანათლებლო პოლიტიკის ფორმულირებაზე და რეფორმაზე.. შესაბამისად, „საერთაშორისო ორგანიზაციების და განათლების მართვის" კურსის დამატება მნიშვნელოვნად გააძლიერებს პროგრამის საერთაშორისო განზომილებას. აღნიშნული კურსი სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემს, შეისწავლონ საერთაშორისო ორგანიზაციების ფუნქციები, სტრუქტურა და საქმიანობის სფეროები, განათლების განვითარებაზე მათი გავლენის მექანიზმები, გლობალური საგანმანათლებლო ინიციატივები, მდგრადი განვითარების მე-4 მიზანი (SDG 4) და საერთაშორისო საგანმანათლებლო ინდიკატორები.

კურსი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროგრამის პირველი და მეორე მიზნების მისაღწევად, ვინაიდან ის სტუდენტებს შეასწავლის გლობალურ საგანმანათლებლო პროცესებს, საერთაშორისო მართვის სტრუქტურებს და პოლიტიკის შემუშავების მექანიზმებს. გარდა ამისა, კურსი ხელს შეუწყობს სტუდენტების ანალიტიკური და კვლევითი კომპეტენციების განვითარებას, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მესამე მიზნის მიღწევას. ინფორმაცია პროგრამის შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ - გვერდზე, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და ხილვადობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განვითარების და დამტკიცების მეთოდოლოგია;
- შედარებითი და საერთაშორისო განათლების სამაგისტრო პროგრამა'
- პროგრამის სილაბუსები;
- ინტერვიუები;
- პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ვებ - გვერდი: www.sabauni.edu.ge

[რეკომენდაცები](#).

- რეკომენდებულია, დაიხვეწოს შედარებითი და საერთაშორისო განათლების სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმა, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მჭიდრო

შესაბამისობა პროგრამის დარგობრივ სპეციფიკასთან, მიზნებთან და სწავლის შედეგებთან. კერძოდ, რეკომენდებულია, სასწავლო კურსი „ინოვაციები და ტექნოლოგიები განათლებაში" ჩანაცვლდეს სასწავლო კურსით „საგანმანათლებლო სისტემები და რეფორმები შედარებით პერსპექტივაში", ასევე პროგრამის სავალდებულო საგნების ბლოკს უნდა დაემატოს სასწავლო კურსი „საერთაშორისო ორგანიზაციები და განათლების მართვა".

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	მეტწილად შესაბამისობაშია

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები მოიცავს ინფორმაციას კურსის სტატუსის, ავტორების, ლექტორების, კურსის მიზნების, კრედიტების რაოდენობის და საათების განაწილების, წინაპირობების, სწავლება - სწავლის მეთოდების და მათთან დაკავშირებული აქტივობების, ფორმების, კომპონენტების, შეფასების მეთოდების, კრიტერიუმების, სწავლის შედეგების, ასევე სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის შესახებ. სულხან - საბა ორბელიანის უნივერსიტეტის შედარებითი და საერთაშორისო განათლების სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსები ზოგადად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ინდივიდუალური სასწავლო კურსების სწავლის შედეგების გათვალისწინებით. გარდა ამისა, კურსის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნებთან.

სასწავლო კურსებში კრედიტების განაწილება, ძირითადად შეესაბამება სასწავლო კურსების შინაარსს და დატვირთვას. მაგალითად, სავალდებულო კურსებს, როგორიცაა თვისებრივი კვლევის მეთოდები (6 ECTS კრედიტი) და სწავლება - სწავლის თანამედროვე თეორიები და მეთოდები (6 ECTS კრედიტი), კრედიტები მინიჭებული აქვთ მათი მასშტაბის და აკადემიური მოთხოვნების შესაბამისად. უმეტეს შემთხვევაში, პროგრამის ძირითად კურსებში საკონტაქტო და დამოუკიდებელი სწავლების საათებს შორის თანაფარდობა სათანადოა და შეესაბამება კურსის შინაარსს. მაგალითად, სასწავლო კურსი „განათლების პოლიტიკა“ მოიცავს 6 ECTS კრედიტს (150 საათი), აქედან 40 საათი განკუთვნილია საკონტაქტო საათებისთვის (ლექციები - 26 საათი; სემინარები / პრაქტიკა - 2 საათი), ხოლო 110 საათი ეთმობა სტუდენტების დამოუკიდებელ მუშაობას.

ექსპერტთა ჯგუფმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა რამდენიმე ძირითად კურსზე მათი მიზნებიდან, სწავლის შედეგებიდან და შინაარსიდან გამომდინარე. კერძოდ, უნდა გადაიხედოს "განათლების პოლიტიკის" კურსი. აღნიშნული კურსის მიზანია სტუდენტებს განუვითაროს უნარი ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე კრიტიკულად გააანალიზონ როგორც ზოგადი, ისე უმაღლესი განათლების პოლიტიკის საკითხები, გამოავლინონ არსებული გამოწვევები და შეიმუშაონ პოლიტიკის დოკუმენტები. კურსის თემების და ლიტერატურის ანალიზი მიუთითებს, რომ მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა უმაღლესი განათლების პოლიტიკას, განსაკუთრებით ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის განვითარებას, ბოლონიის პროცესს, პოსტსაბჭოთა უმაღლესი განათლების სისტემების ტრანსფორმაციას და უმაღლესი განათლების პოლიტიკის თანამედროვე საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ კურსში განხილულია ზოგადი განათლების პოლიტიკის ასპექტები, უმაღლესი განათლების საკითხებისგან განსხვავებით შედარებით შეზღუდულია ზოგადი განათლების მასშტაბი და სიღრმე.

შესაბამისად, როგორც ზოგადი, ისე უმაღლესი განათლების პოლიტიკის საკითხების ბალანსი, როგორც ეს მითითებულია კურსის მიზნებში სრულად არ არის ასახული შინაარსში. რეკომენდებულია კურსში ზოგადი და უმაღლესი განათლების პოლიტიკის საკითხები უფრო დაბალანსებულად იყოს წარმოჩენილი, ხოლო კურსის შინაარსი, თემები და სასწავლო რესურსები სრულად შეესაბამებოდეს კურსის მიზნებს და სწავლის შედეგებს.

მსგავსი მიგნებები გამოვლინდა კურსში " განათლების ხარისხის მართვა". კურსის მიზნებში და სწავლის შედეგებში მკაფიოდ არის მითითებული, რომ სტუდენტები შეიძენენ როგორც ზოგადი, ისე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების სიღრმისეულ ცოდნას და განივითარებენ ეროვნული და საერთაშორისო ხარისხის მართვის სტანდარტების ანალიზის უნარს. თუმცა, კურსის შინაარსის ანალიზი აჩვენებს, რომ თემების მნიშვნელოვანი ნაწილი, ისევე როგორც კურსის საერთაშორისო განზომილება, ძირითადად ფოკუსირებულია უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფაზე. შესაბამისად, რეკომენდებულია, "განათლების ხარისხის მართვის" კურსს დაემატოს ზოგად

განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფასთან და ხარისხის მართვასთან დაკავშირებული საკითხები. აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინება უზრუნველყოფს, რომ კურსის შინაარსი, სასწავლო რესურსები და თემატიკა სრულ შესაბამისობაში იქნება კურსის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შედარებითი და საერთაშორისო განათლების სამაგისტრო პროგრამა;
- ინტერვიუები;
- პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა, სასწავლო გეგმის რუკა;
- სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროცესის დებულება.

[რეკომენდაცები](#).

- რეკომენდებულია, „საგანმანათლებლო პოლიტიკის" და „განათლების ხარისხის მართვის" სასწავლო კურსებს დაემატოს ზოგადი განათლების პოლიტიკის და ხარისხის მართვის საკითხები, იმისათვის, რომ დაბალანსებულად იქნეს წარმოდგენილი ზოგადი და უმაღლესი განათლების მიმართულებები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	მეტწილად შესაბამისობაშია

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ- ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შედარებითი და საერთაშორისო განათლების სამაგისტრო პროგრამის წინაპირობები რელევანტური, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია. პროგრამაზე მიიღებიან კანდიდატები, რომლებიც ფლობენ ბაკალავრის ხარისხს ან მის ეკვივალენტურ კვალიფიკაციას. მიღება ხორციელდება ერთიანი სამაგისტრო გამოცდის, უნივერსიტეტის შიდა გამოცდების შედეგების, ან უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევების და დადგენილი სამართლებრივი პროცედურების საფუძველზე, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის და რექტორის ბრძანების გამოცემის შემდეგ.

უნივერსიტეტის შიდა გამოცდებით ფასდება ორი მნიშვნელოვანი ასპექტი: კანდიდატის ზოგადი ცოდნა სპეციალიზაციის სფეროში და ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე. პროგრამის საერთაშორისო და შედარებითი ფოკუსის, საერთაშორისო აკადემიური ლიტერატურის გამოყენების და კვლევაზე ორიენტირებული კომპონენტების გათვალისწინებით, ინგლისური ენის ცოდნის B2 დონეზე მოთხოვნა დასაბუთებულია და ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან და მოსალოდნელ სწავლის შედეგებთან. ინგლისური ენის გამოცდისგან გათავისუფლდებიან კანდიდატები, რომლებიც წარმოადგენენ საერთაშორისოდ აღიარებულ სერტიფიკატებს ან რომელთაც საბაკალავრო პროგრამის სულ მცირე ერთი სემესტრი დასრულებული ექნებათ ინგლისურ ენაზე. აღნიშნული მიდგომა შესაფერისია და უზრუნველყოფს მოქნილობას მოთხოვნილი ენობრივი სტანდარტის შენარჩუნებით.

მიღების წინაპირობები დაკავშირებულია სამაგისტრო საფეხურთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და პროგრამის ენობრივ საჭიროებებთან. ვინაიდან პროგრამა ღიაა ნებისმიერი დარგის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთათვის, სპეციალიზაციის შიდა გამოცდა უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთი სტუდენტების მიღებას, რომელთაც ექნებათ პროგრამის წარმატებით დასრულებისათვის აუცილებელი მინიმალური ცოდნა და მზაობა.

პროგრამაში ასევე მითითებულია, რომ ინფორმაცია შიდა გასაუბრებების, საგამოცდო თემების / ტესტების და სტუდენტების შეფასების კრიტერიუმების შესახებ გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე გამოცდებამდე სულ მცირე ერთი თვით ადრე. აღნიშნული ხელს შეუწყობს მიღების პროცესის გამჭვირვალობას, საჯაროობას და ხელმისაწვდომობას და საშუალებას მისცემს პოტენციურ სტუდენტებს, წინასწარ მოემზადონ და მიიღონ სათანადო ინფორმაცია. პროგრამაზე მიღება მობილობით და გადმოსვლით აღიარებული უცხოური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ასევე რეგულირდება დადგენილი პროცედურების და კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილებების შესაბამისად.

საერთო ჯამში, მიღების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება პროგრამის მოთხოვნებს, სამაგისტრო საფეხურს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას და მოქმედ კანონმდებლობას. წარმოდგენილი მექანიზმები ქმნიან პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ცოდნის, უნარების და კომპეტენციების მქონე სტუდენტების მიღების საფუძველს.

გარდა ამისა, უნივერსიტეტმა წარმოადგინა აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით. მეთოდოლოგია ადგენს სტუდენტების და აკადემიური / მოწვეული პერსონალის თანაფარდობის განსაზღვრის პრინციპებს, ითვალისწინებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო დატვირთვას და უზრუნველყოფს ჩარჩოს, რომელიც ადასტურებს სტუდენტების დაგეგმილი რაოდენობის თავსებადობას პროგრამის განმახორციელებელ ადამიანურ რესურსთან. შესაბამისად, პროგრამაში დაგეგმილი მისაღები სტუდენტების რაოდენობა დაკავშირებულია დაწესებულების რესურსების დაგეგმვის მიდგომასთან. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა ახალია და მიღების, ჩარიცხვის, სტუდენტების პროგრესის და აკადემიური მოსწრების შესახებ მონაცემები მიმდინარე ეტაპზე არ არის ხელმისაწვდომი, სასურველია, პირველი მიღების ციკლის შემდეგ უნივერსიტეტმა გააანალიზოს მიღების ფაქტობრივი შედეგები, აბიტურიენტების პროფილები, სტუდენტების პროგრესი და აკადემიური მოსწრება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შედარებითი და საერთაშორისო განათლების სამაგისტრო პროგრამა;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით;
- უნივერსიტეტის ვებ - გვერდი: https://www.sabauni.edu.ge
- უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუების შედეგები.

[რეკომენდაციები](#).

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შეფასება
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შედარებითი და საერთაშორისო განათლების სამაგისტრო პროგრამა მოიცავს სტუდენტების პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებისათვის აუცილებელ სასწავლო კომპონენტებს, პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამის სტრუქტურა აჩვენებს ლოგიკურ კავშირს თეორიულ მომზადებას, პრაქტიკულ გამოყენებასა და კვლევის განვითარებას შორის. პროგრამა მოიცავს სასწავლო კურსებს, რომლებიც მიმართულია სტუდენტების კვლევითი და ანალიტიკური კომპეტენციების გაძლიერებაზე, მათ შორისაა: „აკადემიური წერა მაგისტრანტებისთვის", „თვისებრივი კვლევის მეთოდები" და „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი SPSS-ის გამოყენებით". თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, სტუდენტები გამოიყენებენ კვლევის და მონაცემთა ანალიზის ინსტრუმენტებს SPSS - სა და NVivo -ს, შეიმუშავებენ კვლევის ინსტრუმენტებს, განახორციელებენ საველე სამუშაოებს, გაანალიზებენ ლიტერატურას, მოამზადებენ კვლევით ნაშრომებს, შეიმუშავებენ პოლიტიკის დოკუმენტებს და შეასრულებენ პრაქტიკულ დავალებებს. აღნიშნული აქტივობები შეესაბამება პროგრამის პროფილს და ავითარებს კვლევით, ანალიტიკურ, საკომუნიკაციო და აკადემიური წერის უნარებს.

პროგრამა მოიცავს 12 ECTS კრედიტის მოცულობის სავალდებულო პრაქტიკის კომპონენტს, რომელიც ხორციელდება პირველი ორი სემესტრის სავალდებულო კურსების დასრულების შემდეგ. პრაქტიკის კომპონენტი სტუდენტებს საშუალებას მისცემს რეალურ პროფესიულ გარემოში გამოიყენონ შეძენილი თეორიული ცოდნა. პროგრამის დოკუმენტაციაში მითითებულია, რომ სტუდენტებს შესაძლებობა ექნებათ გაიარონ პრაქტიკა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, უნივერსიტეტის სტრუქტურებში, კვლევით ცენტრებში და სხვა შესაბამის ორგანიზაციებში. პრაქტიკის კომპონენტი დაგეგმილია ორმაგი ხელმძღვანელობის მოდელის გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლის და უნივერსიტეტის ხელმძღვანელის ჩართულობას. აღნიშნული მოდელი ხელს უწყობს სტუდენტების პრაქტიკული აქტივობების დაგეგმვას, მონიტორინგს და შეფასებას.

პროგრამა ასევე მოიცავს 30 ECTS კრედიტის მოცულობის სამაგისტრო ნაშრომს, რომელიც აერთიანებს სტუდენტების კვლევით და ანალიტიკურ კომპეტენციებს. ნაშრომის კომპონენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღნიშნული პროგრამისათვის, ვინაიდან პროგრამის მიზანია ისეთი კურსდამთავრებულების მომზადება, რომლებიც შეძლებენ კვლევის ჩატარებას, საგანმანათლებლო სისტემების და პოლიტიკის ანალიზს და შედარებითი და საერთაშორისო განათლების სფეროში მტკიცებულებებზე დაფუძნებული დასკვნების გამოტანას.

შეფასების პროცესში გამოიკვეთა გარკვეული გამოწვევები კვლევითი კომპონენტის განხორციელებისათვის ხელმისაწვდომ ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებით. ვიზიტის განმავლობაში და გასაუბრებების ფარგლებში მიღებული ინფორმაციის თანახმად, სამაგისტრო ნაშრომის მხოლოდ ორი ხელმძღვანელი ფლობს დოქტორის ხარისხს შესაბამის დარგში და მათგან მხოლოდ ერთს აქვს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის გამოცდილება. სხვა ხელმძღვანელები არიან მოქმედი დოქტორანტები, ზოგიერთ მათგანს აქვს მხოლოდ ნაშრომების რეცენზირების გამოცდილება. პროგრამაზე დაგეგმილია 15 მაგისტრანტის მიღება, ხოლო შინაგანაწესის თანახმად, ერთ ხელმძღვანელს შეუძლია ერთდროულად უხელმძღვანელოს 5 მაგისტრანტს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისი კვალიფიკაციის და ხელმძღვანელობის გამოცდილების მქონე ხელმძღვანელების არსებული რაოდენობა შეიძლება არ იყოს საკმარისი ჩარიცხული სტუდენტების სათანადო ხელმძღვანელობის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს 30 ECTS კრედიტის მოცულობის მნიშვნელოვან კვლევით კომპონენტს.

უნივერსიტეტის სამაგისტრო ნაშრომის დებულებაში მითითებულია, რომ ნაშრომის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს დოქტორის ხარისხი, თუმცა დაშვებულია გარკვეული გამონაკლისებიც. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მოქნილობა შეიძლება მისაღები იყოს კონკრეტულ, დასაბუთებულ შემთხვევებში, მნიშვნელოვანია, რომ გამონაკლისი არ გადაიქცეს სამაგისტრო ნაშორმის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფის მთავარ მექანიზმად. ვიზიტის ფარგლებში გამოვლინდა, რომ დაწესებულება პრობლემატურად არ მიიჩნევს არსებულ გარემოებას. მათი განცხადებით ხელმძღვანელებად შესაძლოა შერჩეულ იქნენ მომიჯნავე დარგების, კერძოდ, ისტორიის ან სოციოლოგიის დოქტორის ხარისხის მქონე სპეციალისტებიც. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის ინტერდისციპლინურობა შეიძლება ამართლებდეს მომიჯნავე დარგების ხელმძღვანელების ჩართვას, მათი კვალიფიკაცია და კვლევითი გამოცდილება მკაფიოდ უნდა შეესაბამებოდეს სამაგისტრო ნაშრომის თემატიკას, მიმართულებას და განათლების სფეროს. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის გამოცდილების არმქონე სპეციალისტებისთვის არ ჩატარებულა სპეციალური ტრენინგები.

უნივერსიტეტმა წარმოადგინა ინფორმაცია კარიერული განვითარების მექანიზმების შესახებ. სტუდენტური სერვისების სამსახურის მენეჯერი სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს სთავაზობს კარიერასთან დაკავშირებულ სერვისებს, მათ შორის: კარიერულ და საინფორმაციო შეხვედრებს, დასაქმების ფორუმებს, აწვდის ინფორმაციას აქტიური ვაკანსიების და სტაჟირების

შესაძლებლობების შესახებ, სთავაზობს პროფესიული განვითარების აქტივობებს და ახორციელებს კურსდამთავრებულთა დასაქმების გამოკითხვებს. 2025 - 2026 სასწავლო წელს უნივერსიტეტმა ჩაატარა კარიერასთან დაკავშირებული შეხვედრები, დასაქმების ფორუმები და ტრენინგები, მათ შორის ხელოვნური ინტელექტის კეთილსინდისიერად გამოყენებასთან დაკავშირებული ტრენინგები. აღნიშნული მექანიზმები ხელს უწყობენ სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებას და ტრანსფერული უნარების განვითარებას.

საერთო ჯამში, პროგრამა მოიცავს პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარების შესაბამის მექანიზმებს. თუმცა, კვალიფიციური და გამოცდილი ხელმძღვანელების შეზღუდულმა რაოდენობამ შესაძლოა ხელი შეუშალოს სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტის ეფექტურ განხორციელებას და კვლევასთან დაკავშირებული სწავლის შედეგების მიღწევას. შესაბამისად, საჭიროა აღნიშნული მიმართულების გაუმჯობესება.

უნივერსიტეტმა წარმოადგინა პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების უზრუნველსაყოფად გარე ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები. მემორანდუმები გაფორმებულია ორგანიზაციებთან, რომელთა საქმიანობა უკავშირდება კვლევას, განათლებას, ანალიზს, სოციალურ მეცნიერებებს და პოლიტიკას. ასევე აღნიშნულ ორგანიზებს შორისაა საუნივერსიტეტო და არასამთავრობო / კვლევითი ორგანიზაციები. წარმოდგენილ მემორანდუმებში განსაზღვრულია თანამშრომლობის ზოგადი მიზანი და ფარგლები, სტუდენტების პრაქტიკის / სტაჟირების განხორციელების შესაძლებლობა, მხარეთა პასუხისმგებლობები, კოორდინაციის მექანიზმები, კონფიდენციალობის მოთხოვნები და თანამშრომლობის ვადები. ერთ - ერთ მემორანდუმში ასევე განსაზღვრულია გაზაფხულის სემესტრში მისაღები სტუდენტების შესაძლო რაოდენობა, რაც მნიშვნელოვანია მისაღების სტუდენტების დაგეგმილ რაოდენობის პრაქტიკის უზრუნველყოფის თავლსაზრისით.

ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა ახალია და პრაქტიკის კომპონენტი ჯერ არ განხორციელებულა, უნდა აღინიშნოს, რომ თვითშეფასების ანგარიშში წარმოადგენილია ინფორმაცია პრაქტიკის ორგანიზების შესახებ, მათ შორის პრაქტიკის მიზნები, ხანგრძლივობა, ხელმძღვანელობა და პრაქტიკის ორგანიზაციების მიერ მისაღები სტუდენტების რაოდენობა. თუმცა, სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, უნივერსიტეტმა აღნიშნული ინფორმაცია მკაფიოდ და თანმიმდევრულად უნდა ასახოს პრაქტიკასთან დაკავშირებულ თითოეულ მემორანდუმში და მათ დანართებში. კერძოდ, პრაქტიკის განხორციელებამდე, შესაბამის დოკუმენტაციაში მკაფიოდ უნდა აისახოს თითოეული ორგანიზაციის მიერ მისაღები სტუდენტების რაოდენობა, პრაქტიკის მიზნები, მოსალოდნელი შედეგები, ხანგრძლივობა, შეფასების პასუხისმგებლობები და უკუკავშირის მექანიზმები. აღნიშნული ხელს შეუწყობს პრაქტიკის კომპონენტის თანმიმდევრულ განხორციელებას და უზრუნველყოფს პრაქტიკული კომპონენტის მეშვეობით პროგრამის სწავლის შედეგების ეფექტურ მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შედარებითი და საერთაშორისო განათლების სამაგისტრო პროგრამა;
- მემორანდუმები;
- უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუების შედეგები.

[რეკომენდაცები](#).

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს შესაბამისი კვლაიფიკაციის მქონე სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების სათანადო რაოდენობა, რომლებსაც ექნებათ დარგში დოქტორის ხარისხი, შესაბამისი კვლევითი და ნაშრომების ხელმძღვანელობის გამოცდილება სტუდენტების დაგეგმილი რაოდენობის და ერთი ხელმძღვანელისათვის განსაზღვრული სტუდენტების შიდა ლიმიტის შესაბამისად.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა მკაფიოდ განსაზღვროს და გამოიყენოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების დანიშვნის გამჭვირვალე კრიტერიუმები. ასევე, ხელმძღვანელებისთვის დაადგინოს დოქტორის ხარისხის მოთხოვნის გამონაკლისები, იმისათვის, რომ სათანადოდ დაასაბუთოს თითოეული შემთხვევა და უზრუნველყოს ხელმძღვანელის კვალიფიკაციის, კვლევითი და დარგობრივი გამოცდილების შესაბამისობა სამაგისტრო ნაშრომის თემატიკასთან და მიმართულებასთან.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სამაგისტრო ნაშრომების პოტენციური ხელმძღვანელებისთვის უზრუნველყოს მიზნობრივი ტრენინგი და მეთოდოლოგიური მხარდაჭერა, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც არ აქვს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის გამოცდილება, იმისათვის, რომ უზრუნველყოს კვლევითი კომპონენტის ეფექტური განხორციელება.
- რეკომენდებულია, პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები / მემორანდუმები და / ან მათი დანართები მკაფიოდ ასახავდეს მისაღები სტუდენტების რაოდენობას, პრაქტიკის კომპონენტის მიზნებს, მოსალოდნელ შედეგებს და ხანგრძლივობას, ასევე წარმოაჩენდეს, თუ როგორ უწყობს ხელს პრაქტიკის კომპონენტი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**

2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	მეტწილად შესაბამისობაშია

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შედარებითი და საერთაშორისო განათლების სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება სწავლებისა და სწავლის ისეთი მეთოდების მეშვეობით, რომლებიც ზოგადად შეესაბამება განათლების დონეს, პროგრამის შინაარსს, კურსის სწავლის შედეგებს და პროგრამის დაგეგმილ სწავლის შედეგებს. პროგრამა იყენებს სწავლებისა და სწავლის მეთოდების კომბინაციას, მათ შორის ლექციებს, ჯგუფურ მუშაობას, პრაქტიკულ სამუშაოს, სემინარებს, ელექტრონული რესურსებით სწავლებასა და სხვა შესაბამის მეთოდებს. ეს მეთოდები შესაფერისია მეორე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამისთვის და ხელს უწყობს თეორიული ცოდნის, ანალიტიკური აზროვნების, კვლევითი უნარების, პრაქტიკული კომპეტენციებისა და ტრანსფერული უნარების განვითარებას.

შერჩეული სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეესაბამება პროგრამის ინტერდისციპლინურ და კვლევაზე ორიენტირებულ პროფილს. პროგრამის მიზანია ისეთი სტუდენტების მომზადება, რომლებსაც შეეძლებათ განათლების სისტემების, პოლიტიკისა და პრაქტიკის ანალიზი შედარებით და საერთაშორისო კონტექსტში, ჩაატარონ ხარისხობრივი და რაოდენობრივი კვლევები, გადმოსცენ რთული იდეები და გამოავლინონ პროფესიული და ეთიკური პასუხისმგებლობა. შესაბამისად, სწავლებისა და სწავლის პროცესი მოიცავს მეთოდებსა და აქტივობებს, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას, კრიტიკულ ანალიზს, დამოუკიდებელ მსჯელობას, აკადემიურ კომუნიკაციასა და ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას.

პროგრამის დოკუმენტაცია და თვითშეფასების ანგარიში მიუთითებს, რომ სტუდენტები ჩაერთვებიან მრავალფეროვან სასწავლო აქტივობებში, როგორიცაა აკადემიური ლიტერატურის ანალიზი, სტატიების მიმოხილვა, ტექსტზე დაფუძნებული კრიტიკული დისკუსიები, კვლევითი ნაშრომების მომზადება და პრეზენტაცია, საგანმანათლებლო პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება, კვლევითი პროექტების დაპროექტება და პრეზენტაცია, დემონსტრაციული

ლექციები, საველე სამუშაოები, კვლევითი ინსტრუმენტების შემუშავება, მონაცემების შეგროვება და დამუშავება, და კვლევის/მონაცემთა ანალიზის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება, მათ შორის SPSS და NVivo. ეს აქტივობები შეესაბამება პროგრამის სასწავლო შედეგებს და ხელს უწყობს კრიტიკული, ანალიტიკური, კვლევითი, საკომუნიკაციო და ციფრული კომპეტენციების განვითარებას.

პროგრამის სტრუქტურა ასევე ხელს უწყობს სტუდენტების კომპეტენციების ეტაპობრივ განვითარებას. სწავლის პირველი წელი ძირითადად ფოკუსირებულია თეორიულ და კონცეპტუალურ საფუძვლებზე, მათ შორის: შედარებით და საერთაშორისო განათლებაზე, განათლების პოლიტიკაზე, საგანმანათლებლო ტრადიციებზე, სწავლებისა და სწავლის თეორიებზე, ხარისხის მენეჯმენტზე, საერთაშორისო განვითარებაზე, განათლებაში ინოვაციებსა და ტექნოლოგიებზე. შემდეგ ეტაპებზე სტუდენტები გაიღრმავებენ კვლევით და პრაქტიკულ კომპეტენციებს აკადემიური წერის, ხარისხობრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების, პრაქტიკისა და სამაგისტრო ნაშრომის მეშვეობით. ეს თანმიმდევრობა ხელს უწყობს თანდათანობით პროგრესირების პრინციპს ზოგადიდან უფრო კონკრეტულამდე და მარტივიდან უფრო რთულ სასწავლო აქტივობამდე.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები ასევე ხელს უწყობს სტუდენტებსა და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს შორის, ისევე როგორც სტუდენტებს შორის ურთიერთქმედებას. სემინარების, სამუშაო ჯგუფების საქმიანობის, დისკუსიების, პრეზენტაციების, პრაქტიკული დავალებებისა და პროექტებზე დაფუძნებული აქტივობების გამოყენება სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, აქტიურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში და განავითარონ სამაგისტრო დონისთვის შესაფერისი ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა.

უნივერსიტეტი სასწავლო პროცესის მხარდასაჭერად იყენებს ელექტრონულ სასწავლო და ადმინისტრაციულ რესურსებს. სწავლების მართვის ელექტრონული სისტემის, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების რესურსებისა და ელექტრონული მასალების ხელმისაწვდომობა ხელს უწყობს პროგრამის ეფექტიან განხორციელებას და ლექტორებს საშუალებას აძლევს, სასწავლო მასალები ელექტრონულად წარმოადგინონ. ეს მნიშვნელოვანია პროგრამისთვის, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ყურადღება გამახვილებულია საერთაშორისო განათლებაზე, კვლევის მეთოდებზე, ციფრულ ინსტრუმენტებსა და თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიებზე.

საერთო ჯამში, სწავლებისა და სწავლის მეთოდები სტუდენტზეა ორიენტირებული და შეესაბამება პროგრამის შინაარსს, განათლების დონესა და მოსალოდნელ სასწავლო შედეგებს. ისინი ხელს უწყობენ სტუდენტების აქტიურ მონაწილეობას, კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების, კვლევითი კომპეტენციის, საკომუნიკაციო უნარებისა და პროფესიული ავტონომიის განვითარებას. ამავე დროს, რადგან პროგრამა ახალია, სწავლებისა და სწავლის მეთოდების ეფექტურობა უნდა შეფასდეს პროგრამის პირველი განხორციელების შემდეგ სტუდენტთა

უკუკავშირის, აკადემიური მოსწრებისა და სწავლის შედეგების მიღწევის ანალიზის საფუძველზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტს აქვს მექანიზმები განსაკუთრებული საჭიროებების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების სხვადასხვა დონის მქონე სტუდენტების მხარდასაჭერად. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, უნივერსიტეტი შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, რათა უზრუნველყოს სტუდენტების სრული მონაწილეობა სასწავლო პროცესში. ეს გეგმები ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს, აკადემიურ გამოცდილებასა და სპეციალურ საგანმანათლებლო მოთხოვნებს. გარდა ამისა, სტუდენტებს ეძლევათ ლექტორებთან ინდივიდუალური კონსულტაციების შესაძლებლობა, რაც ხელს უწყობს მათ აკადემიურ პროგრესს და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მითითებების მიღების საშუალებას აძლევს. ეს მიდგომა შეესაბამება სწავლება-სწავლების პროცესის სტუდენტზე ორიენტირებულ ბუნებას და ასახავს სწავლებისა და სწავლის მეთოდების მოქნილობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამაგისტრო პროგრამა შედარებით და საერთაშორისო განათლებაში
- სილაბუსები
- უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები.

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასება რეგულირდება მკაფიოდ განსაზღვრული, მკაცრად სტანდარტიზებული და თანმიმდევრულად გამოყენებული პროცედურებით, რომლებიც მიზნად ისახავს ყველა სტუდენტისთვის თანაბარი შეფასების პირობების შექმნას. უნივერსიტეტის შეფასების ჩარჩო მკაცრად შეესაბამება უმაღლესი განათლების ეროვნულ კანონმდებლობას, მარეგულირებელ მანდატებსა და შიდა ინსტიტუციურ პოლიტიკას, რითაც დაცულია აკადემიური მთლიანობა და ინსტიტუციური ანგარიშვალდებულება შეფასების ყველა ფორმაში. შეფასების სისტემის სტრუქტურა გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომი, რაც უზრუნველყოფს შეფასების ყველა კომპონენტის, მეთოდოლოგიური მიდგომისა და შეფასების კრიტერიუმების წინასწარ განსაზღვრას და სტუდენტებს სასწავლო პერიოდის დაწყებამდე პირდაპირ კომუნიკაციას.

საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასება შეესაბამება საქართველოში უმაღლესი განათლების ეროვნულ საკრედიტო სისტემას. სტუდენტის აკადემიური მოსწრება ფასდება 100-ქულიანი მაქსიმალური სკალით, რომელიც იყოფა ორ ძირითად კომპონენტად: შუალედური შეფასებები და საბოლოო შეფასებები. ამ შეფასებების კონკრეტული სტრუქტურა, ინსტრუმენტები და ქულების განაწილება განისაზღვრება შესაბამისი კურსის ლექტორის ან სასწავლო პროგრამის ავტორის მიერ, რაც პროფესორ-მასწავლებლებს საშუალებას აძლევს, შეფასების მეთოდოლოგიები მოარგონ თითოეული დისციპლინის განსაკუთრებულ პედაგოგიურ მოთხოვნებს და, ამავდროულად, ეფექტიანად დააბალანსონ როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული კომპეტენციების შეფასება. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი როგორც შუალედური, ისე საბოლოო შეფასებებისათვის მკაფიოდ კოდიფიცირებულია თითოეულ ცალკეულ სილაბუსში.

სტუდენტების ინფორმირებულობისა და აკადემიური დაგეგმვის ხელშეწყობის მიზნით, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი იყენებს სწავლების მართვის ელექტრონულ სისტემას, რომლის მეშვეობითაც სტუდენტებს შეუძლიათ რეგისტრაციის ეტაპზე გადახედონ კურსის სილაბუსს, და წინასწარ მიიღონ ინფორმაცია შეფასების მოთხოვნებისა და კრიტერიუმების შესახებ. გარდა ამისა, ეს ციფრული პორტალი წარმოადგენს უწყვეტი მონიტორინგის ინსტრუმენტს, რომელიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, რეალურ დროში თვალი ადევნონ თავიანთ დაგროვებულ ქულებს და პროაქტიულად მართონ აკადემიური პროგრესი მთელი სემესტრის განმავლობაში.

უნივერსიტეტი იყენებს მრავალარხიან საკომუნიკაციო სტრატეგიას, რათა მიაწოდოს სრული ინფორმაცია აკადემიური პროგრამების სტრუქტურის, შინაარსისა და შეფასების კრიტერიუმების

შესახებ. ეს ინფორმაცია სისტემატურად ხელმისაწვდომია პროგრამის ოფიციალური აღწერილობების, აკადემიური კატალოგების, ელექტრონული სისტემის ფარგლებში ინსტიტუციონალიზებული კურსის სილაბუსების და ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან პირდაპირი კონსულტაციების საშუალებით. ახლადშექმნილი აკადემიური პროგრამებისათვის, სადაც პირდაპირი კოჰორტის მონაცემები შეიძლება შეზღუდული იყოს, ინსტიტუციური თანმიმდევრულობა და ამ საკომუნიკაციო არხების ეფექტურობა დასტურდება სტუდენტთა გამოხმაურების მეშვეობით შესაბამისი პროგრამებიდან.

სტუდენტთა უფლებების დასაცავად და შეფასების თანასწორობის უზრუნველსაყოფად, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიური სააპელაციო საჩივრების ფორმალიზებულ მექანიზმს. შეფასების გასაჩივრების პროტოკოლები და პროცედურული ნაბიჯები მკაფიოდ არის დეტალურად აღწერილი უნივერსიტეტის მმართველ აკადემიურ რეგულაციებში, ხოლო სტუდენტებისთვის ამ უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების უზრუნველმყოფი ინსტიტუციური მექანიზმები მოიცავს მარეგულირებელი დოკუმენტების გასაჯაროებასა და მიზნობრივ საინფორმაციო შეხვედრებს. სტუდენტთა მხრიდან უკუკავშირი ამ ზომების ეფექტიანობას ადასტურებს და სააპელაციო პროცესის გამჭვირვალობის მაღალ კმაყოფილებაზე მიუთითებს.

საბოლოოდ, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო სტრატეგიის მთავარი კომპონენტია რეგულარული, ფორმაციული და კონსტრუქციული უკუკავშირის უზრუნველყოფა. ეს შეფასებითი დიალოგი სტუდენტებს საშუალებას აძლევს, ზუსტად შეაფასონ თავიანთი აკადემიური მდგომარეობა დადგენილ ეტაპებთან მიმართებით, რაც ხელს უწყობს სტუდენტების უწყვეტ განვითარებას ინდივიდუალური ძლიერი მხარეებისა და აკადემიური ზრდის სამიზნე სფეროების დიაგნოსტიკური იდენტიფიკაციის გზით. სტუდენტების მაჩვენებლები აჩვენებს, რომ ისინი მაღალი კმაყოფილებით აფასებენ ამ უკუკავშირის სარგებლიანობას, ხელმისაწვდომობასა და პედაგოგიურ გავლენას მათ საერთო აკადემიურ პროგრესზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამაგისტრო პროგრამა შედარებით და საერთაშორისო განათლებაში
- თვითშეფასების ანგარიში.
- სტუდენტების შეფასების ელექტრონული სისტემა
- სილაბუსები
- დებულება სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის შესახებ
- ინტერვიუების შედეგები

[რეკომენდაცები](#).

- არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის]

- არ არის მითითებული

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
[2.4. სტუდენტების შეფასება:]	შესაბამისობაშია

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას სტუდენტებისთვის შესაბამისი სერვისების მიწოდებით; ხელს უწყობს სტუდენტთა მაქსიმალურ ინფორმირებულობას, ახორციელებს მრავალფეროვან აქტივობებს და ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვისუზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობისა და მითითების სათანადო ხარისხი.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ- ის პროგრამაში ან/ და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას მომავალი სტუდენტებისთვის, სთავაზობს რა მათ ყოვლისმომცველ აკადემიურ და დამხმარე სერვისებს. შიდა რეგულაციების შესაბამისად, სტუდენტებს სთავაზობენ მითითებებს აკადემიური დაგეგმვის, აკადემიური შესრულების გაუმჯობესების, კარიერის განვითარებისა და დასაქმების შესაძლებლობების მიმართულებით.

ეს სერვისები მიზნად ისახავს სტუდენტების აკადემიური პროგრესისა და პროფესიული ინტეგრაციის მხარდაჭერას. სტუდენტების სწავლების დაგეგმვისა და აკადემიური წარმატების შემდგომი მხარდასაჭერის მიზნით, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სტუდენტები იღებენ ყოვლისმომცველ მითითებებსა და მხარდაჭერას მრავალი ინსტიტუციური სტრუქტურისგან, მათ შორის ფაკულტეტის ადმინისტრაციისგან, აკადემიური პერსონალისა და მოწვეული თანამშრომლებისგან. აკადემიური განვითარების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს ელექტრონული სწავლების მართვის სისტემას, რომელიც საშუალებას

აძლევს სტუდენტებს რეგულარულად აკონტროლონ თავიანთი აკადემიური მოსწრება, დაგროვილი კრედიტები და ადმინისტრაციული საქმიანობა.

უნივერსიტეტის სტუდენტურ საკითხთა ოფისი აქტიურად ეხმარება სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს კარიერულ განვითარებასა და დასაქმებაში. ის უზრუნველყოფს როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ კარიერულ კონსულტაციებს, რაც სტუდენტებს ეხმარება საკუთარი პროფესიული ინტერესების იდენტიფიცირებასა და ეფექტური კარიერული გეგმების შემუშავებაში.

სტუდენტურ საკითხთა მენეჯერი ხელს უწყობს პარტნიორობის განვითარებას საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორების ორგანიზაციებთან, რითაც სტუდენტებისთვის ღირებულ სტაჟირებისა და დასაქმების შესაძლებლობებს ქმნის. გარდა ამისა, ოფისი რეგულარულად აწვდის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ინფორმაციას ხელმისაწვდომი ვაკანსიებისა და კარიერული შესაძლებლობების შესახებ. გარდა ამისა, სტუდენტებს ეძლევათ პრაქტიკული ტრენინგები, რომლებიც მიზნად ისახავს თანამედროვე შრომის ბაზარზე მოთხოვნადი კომპეტენციების გაუმჯობესებას. ეს სესიები ეხმარება სტუდენტებს განავითარონ ძირითადი კარიერული უნარები, მათ შორის CV /რეზიუმესა და სამოტივაციო წერილების შედგენა, ინტერვიუებისთვის მომზადება, პროფესიული კომუნიკაცია და ეფექტური პრეზენტაციის ტექნიკა.

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი ყოველწლიურად ატარებს სტუდენტური სტიპენდიების კონკურსს სტუდენტური ინიციატივების წასახალისებლად და აკადემიური, პროფესიული და პრაქტიკული კომპეტენციების გასაძლიერებლად. ამ პროგრამის საშუალებით სტუდენტებს შეუძლიათ დამოუკიდებლად, გუნდურად ან აკადემიურ პერსონალთან ერთად შეიმუშაონ და განახორციელონ პროექტები, რაც მათ საშუალებას მისცემს პრაქტიკაში გამოიყენონ თეორიული ცოდნა და გაიუმჯობესონ თავიანთი მომავალი კარიერისთვის შესაბამისი უნარები. უნივერსიტეტი ასევე ხელს უწყობს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას სტუდენტური კლუბების მეშვეობით, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს შექმნან ორგანიზაციები მათი ინტერესების მიხედვით და ინსტიტუციური მხარდაჭერით წამოიწყონ სხვადასხვა ინიციატივა.

სტუდენტური მხარდაჭერის სერვისების გაძლიერებისა და გაუმჯობესების მიზნით, უნივერსიტეტი სისტემატურად ატარებს სტუდენტურ გამოკითხვებს, რათა შეაგროვოს უკუკავშირი სტუდენტური გამოცდილების სხვადასხვა ასპექტზე. ამ უკუკავშირის ანალიზი დაწესებულებას საშუალებას აძლევს, გამოავლინოს თავისი ძლიერი მხარეები და განსაზღვროს შემდგომი განვითარების საჭირო სფეროები, რითაც უზრუნველყოფს სტუდენტების საჭიროებებზე ეფექტიანად რეაგირებას. ინტერვიუების დროს, როგორც სხვა პროგრამების ამჟამინდელმა სტუდენტებმა, ისე კურსდამთავრებულებმა, ხაზი გაუსვეს ამ გამოკითხვების მნიშვნელობას და აღნიშნეს, რომ უკუკავშირის პროცესში მათი მონაწილეობა დროთა განმავლობაში სტუდენტური სერვისების შესამჩნევი გაუმჯობესების საფუძველი გახდა. ამ პროცესის შედეგად მიღებული შეხედულებები უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს, უკეთ

მოარგოს თავისი მხარდაჭერის მექანიზმები სტუდენტების მოლოდინებს და მუდმივად მოერგოს მათ ცვალებად საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ვებ-გვერდი
- მარეგულირებელი დოკუმენტები
- ინტერვიუების შედეგები
- თვითშეფასების ანგარიში.

[რეკომენდაციები](#).

- არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	შესაბამისობაშია

3.2. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.
- სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა რეგულირდება როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ასევე შიდა ინსტიტუციური რეგულაციებით, მათ შორის ოფიციალური პროცედურებით, რომლებიც განსაზღვრავს სამაგისტრო ნაშრომების დაგეგმვას, შესრულებას და

შეფასებას, ასევე სახელშეკრულებო ჩარჩოებით, რომლებიც ნათლად ასახავს ხელმძღვანელებისა და თანახელმძღვანელების უფლებებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს.

მეოთხე სემესტრის განმავლობაში სტუდენტები ვალდებულნი არიან აირჩიონ თავიანთი სადისერტაციო ნაშრომის თემა და ხელმძღვანელი, ხოლო ფორმალური რეგისტრაცია დასრულდება კვლევითი პროექტის დამტკიცებასთან ერთად. დანიშნული ხელმძღვანელის შეცვლის მოთხოვნა შესაძლებელია წარდგენამდე არაუგვიანეს სამი კვირით ადრე, იმ პირობით, რომ არსებობს დასაბუთებული მიზეზი და ფაკულტეტის დეკანისა და პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა. ზოგადი წესის მიხედვით, ერთი ხელმძღვანელი მაქსიმუმ ხუთ მაგისტრანტს ენიშნება; თუმცა, დატვირთვის გათვალისწინებითა და აკადემიური მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია გამონაკლისების დაშვება. გარდა ამისა, შესაძლოა დაინიშნონ თანახელმძღვანელები, რომელთა ხელმძღვანელობის დატვირთვა გამოითვლება დადგენილი ეკვივალენტობის პრინციპების შესაბამისად. სემესტრის განმავლობაში, ხელმძღვანელები უზრუნველყოფენ სტრუქტურირებულ და რეგულარულ — როგორც წესი, ყოველკვირეულ — კონსულტაციებს, რომელთა მიზანია სტუდენტების დახმარება კვლევის პროცესის ყველა ეტაპზე, მათ შორის: კვლევის დიზაინის შემუშავებაში, ლიტერატურის მიმოხილვაში, მეთოდოლოგიის შერჩევასა და მონაცემთა ანალიზში. ხელმძღვანელები ასევე მუდმივად აკვირდებიან სტუდენტების პროგრესს, სთავაზობენ უკუკავშირს და მხარს უჭერენ ნაშრომის დახვეწას საბოლოო დაცვის ეტაპამდე. სტუდენტებმა უნდა ჩაატარონ დამოუკიდებელი კვლევები, აქტიურად მიიღონ მონაწილეობა კონსულტაციებში, მოემზადონ და წარმატებით დაიცვან თავიანთი ნაშრომი და ასევე შეასრულონ მასთან დაკავშირებული ყველა აკადემიური მოთხოვნა.

პარალელურად, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი ატარებს დაგეგმილ საკონსულტაციო შეხვედრებს თანმიმდევრული აკადემიური მხარდაჭერისა და კოორდინაციის უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავს კურსდამთავრებულთა უკუკავშირის სისტემატურ შეგროვებასა და ანალიზს, რომელსაც განიხილავს ხარისხის მართვის სამსახური და იყენებს პროგრამის უწყვეტი გაუმჯობესებისა და სტრატეგიული განვითარების მიზნით.

მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებთან და ფაკულტეტის წარმომადგენლებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ხელმძღვანელები აქტიურად არიან ჩართული თავიანთ სტუდენტების საქმიანობაში, სთავაზობენ მათ ინდივიდუალურ მითითებებსა და მხარდაჭერას კვლევის პროცესის სხვადასხვა ასპექტში. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ხელმძღვანელები კვლევის დიზაინისა და მეთოდოლოგიის შესახებ ღირებულ ცოდნას უზიარებენ მათ, რითაც ხელს უწყობენ აკადემიური ზრდისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას. ბევრმა სტუდენტმა გამოხატა კმაყოფილება თავისი ხელმძღვანელების მიმართ, განსაკუთრებით აღნიშნეს მათი ხელმისაწვდომობა და სტუდენტთა საჭიროებებზე დროული რეაგირება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროცესის დებულებები
- სამაგისტრო ნაშრომის დაგეგმვის, დასრულებისა და შეფასების წესი
- სამაგისტრო ნაშრომის სასწავლო გეგმა
- ინტერვიუების შედეგები

[რეკომენდაციები](#).

- არ არის მითითებული

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
3.2. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა ხელმძღვანელობა	შესაბამისობაშია

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
